PDP 1 18 00047553

11/12/2018

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავმჯდომარეს, ბატონ ნიკა ახალბედაშვილს

ბატონო ნიკა,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, გეგზავნებათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2018 წლის ანგარიში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, დოკუმენტში ასახულია ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ 2017 წლის 10 დეკემბრიდან 2018 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის, ასევე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ:

1. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების/გაცემაზე უარის თქმის შესახებ
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ შემოსულ კორესპონდენციას განიხილავს და ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი სალომე ბახსოლიანი. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც - foi@pdp.ge.
საანგარიშო პერიოდში აპარატში შემოვიდა 22 მოთხოვნა ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით. აქედან:

- 15 შემთხვევაში სრულად გაიცა მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაციის ასლები;
- 06 შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ვინაიდან: 04 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო დაცული/აღრიცხული აპარატში; 01 შემთხვევაში მოთხოვნილი დოკუმენტაციის ნაწილი დაცული იყო გრიფით „საიდუმლო“; 01 შემთხვევაში მოთხოვნილი იყო მესამე პირთა პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტები, რომლებიც გაიცა ფიზიკურ პირთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით;
- 01 განცხადების განხილვა მიმდინარეობს.

2. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ
საანგარიშო პერიოდში აპარატში არ შემოსულა მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ.

ვაჩნაძის ქ. №7, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2421000
ელ–ფოსტა: office@pdp.ge

7, Vachnadze Str, 0105, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2421000
E-mail: office@pdp.ge

3. საჯარო მონაცემთა ბაზების შესახებ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 40-ე მუხლის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ვებგვერდზე განთავსებულია ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრი. ამავე ვებგვერდზე განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებების რეესტრი, სადაც გადაწყვეტილებები გასაჯაროებულია მოქალაქეთა და კერძო სამართლის იურიდიული პირების იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

4. პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დამუშავების საფუძვლებისა და პრინციპების შესაბამისად, ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების/ნებართვების განხილვისა და კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს. ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავს განმცხადებელთა და მესამე პირთა პერსონალურ მონაცემებს, მესამე პირებს გადაეცემათ იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

5. დისციპლინური სახდელის დადების შესახებ

აპარატის მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევა არ გამოვლენილა, ამდენად არ არსებობდა დისციპლინური სახდელის დადების საჭიროება.

6. ინფორმაციის დამუშავებასთან/გაცემასთან და გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები

ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯმა შეადგინა 0 ლარი. ამასთან, არ წარმოშობილა გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯი.

პატივისცემით,

სალომე ბახსოლიანი



საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი
პირი